სახალხო გაზეთი

№ 172 ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 172

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კაკკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო კერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კაკკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მიტლ და აიზ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვიხა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—ძარმალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიმართეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბეჭდაც მცირე წერილებს და კორესპონდენციები სულ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილ[illegible] და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება [illegible] ველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საა[illegible] 6 ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ[illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის [illegible] 2

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ეძლევა კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებითა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მოწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიეღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 30.

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში:

I

ირინეს ბედნიერება

სცენები სოფლის ცხოვრებიდან 2 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

II

დავიდარაბა

კომედია 2 მოქმ. დ. ერისთავისა.

რეჟისორი ვ. ალიკაშვილი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვიქტორელი, ა. კარგარეთელი, ფ. ლეკვა, ლოლუა, პეტრიტა, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. ბუნია, ნ. გვარამია, მდივანი, შამფორია, კ. მეხრი, ვ. მატარაძე, ი. ყივიძე, ზარდალიშვილი კ. მალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ორი ვნება“, „ქალის ჭკუა“, ნორჩი თაობა“, „მსხვერპლი“ და სხვ.

მოკლე ხანში დანიშნულია გ. აბაშიძის ბენეფისი.

(2—1) ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება.

რ. ა. პოლიტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაბების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, ხაზოვან წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოგვმეული მაქვს საგზამიხიდან, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—49

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ოთხედ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოლოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნაკოდოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით. (წლ.—5.—502)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირის 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დეკანაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მახეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—339)

მოვითხოვეთ გუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.-ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—15)

სამკურნალო

სპეციალისტ სამზედრო ექიმებისა გარეგან მოზიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. ს. ახპიასოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მანსი—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვესელოვოზნოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხოლელანინა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმანი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

[illegible]—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

პოლდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოზანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—27)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ძ. ა. ქუთაისი

თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა ბაზოვარ-გარეთიდან და გააბა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აპეპულებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილარეტის ბაღლი, (50—170—20)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადადგება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ., N 20. (0—ნ.—95)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ბერიჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ჯ. ფ. ა ر ი ძ ე

ძ. ქუთაისი

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიკარაძისა. (თ.—188—26)

ექიმი რ. დ. მაჯავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—44

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ნუთმაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბებით ავადმყოფებს არ იღებს. მოზკოვის ქ. N 4, სახლი გაბამბილისა. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

სწამლობს შინაგან, საბავშვო და გეჯის ავადმყოფობას; პროფესორ მატშეკუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ბაღი N 39. (100—36)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლიხა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—274

ექიმი კბილისა

ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანიხა. (უ)

ამხ. „ხორაპანი“ უკვე შეუდგა

ი. გრიშაშვილის

ლექსების ბეჭდვას, პატარ-პატარა წიგნაკებად.

პირველი წიგნი

„ოცნების კოცნა“

გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებს. თვითეული წიგნი შეიცავს 32 გვ. და ეღირება 10 კაპ. (4—4)

სახელმწიფო სათათბირო

გუჩკოვი თავმჯდომარეობს

შემოსულ საქმეთა სიას კითხულობენ. მათ შორის სოც.-დემოკრატთა ფრაქციის 31 დეპუტატის მიერ ხელ-მოწერილი შინაგან მინისტრის მეკითხვა: კარეტნიოროვის ქარხანაში მშვიდობიან გაფიცვის ფაქტის მოქმედებაზე, ვარშავის ტრამვაისა და პეტერბურგში რუსეთის ფასმზომელ მოტორთა საზოგადოების შოფერთა გაფიცვის დროს.

შეკითხვა კომისიას გადაეცა.

სასკოლო კანონ-პროექტის იმ მუხლს იხილავენ, რომლითაც სამრევლო სკოლები სამინისტროს უწყებაში გადადის.

ეპისკოპოსი მიტროფანე იმ აზრისაა, რომ რუსის მორწმუნე ხალხისათვის სამრევლო სკოლები უფრო შესაფერია.

ტიჩინინი ამტკიცებს, რომ საეკლესიო სკოლების სამინისტროს უწყებაში გადაცემა ნაადრევია და დამღუპველ შედეგს მოიტანსო.

ორატორთა რიცხვს ამკირებენ—12 დე.

მამა მაშკევიჩი აღნიშნავს, რომ საეკლესიო სკოლის გამგეობას საერო-სულიერო წოდებას ხელიდან აცლიან. ამისათვის იგი სათათბიროს მართლმადიდებელ დეპუტატსა და განსაკუთრებით სასულიერო პირთ მოუწოდებს,—მჭიდრო კავშირი შეჰყაროთ და საეკლესიო სკოლას გადარჩენითო. მე 14 მუხლის მიღებით ოქტომბრისტები იაფ-ფასიან ლიბერალობას დამტკიცებენო.

ბელოუსოვი სოც.-დემოკრატთა სახელით აცხადებს, ფრაქცია თანახმაა საეკლესიო სკოლები სამინისტროს დაექვემდებაროს. მას შესწორება შეაქვს. ის თანხა, რასაც სინოდი საეკლესიო სკოლებზე ხარჯავს, სამინისტროს თანხაში ჩაირიცხოს. საეკლესიო სკოლების ჩამორთმევით, სასულიერო წოდება სამასწავლო სამბჭოების ხელ-ქვეშ ხდება და მიზეზიც ესაა, რომ სასულიერო წოდება ასე ცხარობსო. სასულიერო წოდებას რუსეთის განათლების ისტორიაში არავითარი ღვაწლი არ მიუძღვისო. საეკლესიო სკოლა—ეს რეაქციის სკოლებია და ბნელ ძალთა წარმომშობი ბუნაგიაო.

თავმჯდომარის ადგილს თ-დი ვოდკინსკი იჭერს.

ბარონი მეინდორფს, პოლიტიკურის მოსაზრებით საეკლესიო სკოლების სამინისტროს ხელში გადასვლა სასურველად არ მიაჩნია. მართლმადიდებელი ეკლესია ავტონომიურ უფლებითაა აღჭურვილი და მის შინაგან საქმეებში ჩარევა არ შეიძლება. სინოდისის თავისუფლების გამოცხადებამ ეკლესიას საერისკაცო საშუალებანი ჩამოართო და მხოლოდ სულიერი ზეგავლენის უფლება და დაუტოვა, რის გამოც სამართალი მოითხოვს, საეკლესიო სკოლებში მასწავლებლობა მაინც შეეძლოთო.

კომისიის რედაქცია ამაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა, არც ისაა გარკვეული, თუ საეკლესიო სკოლებს კვლავ მიეცემათ სადახმარო თანხა, რაც აქამდე ეძლეოდათ, თუ უსახსრობით დაიკეტებიან. ცხადია ასეთ აუარება სკოლების დაკეტვა შეუძლებელია. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

მამა იუშკევიჩი ამტკიცებს, რომ რუსეთის სამღვდელოებაში კლერიკალიზმის ნიშან-წყალიც არ მოიპოვება და ეკლესიასა საეკლესიო სკოლას ესარჩლება.

გულკინი ბრალსა სდებს სასულიერო წოდებას, რომ საეკლესიო სკოლებზე ბევრ ფულებსა ხარჯავთ და ანგარიშს კი არავის აძლევთო.

მამა გაგანეულევიჩი ევედრება ოქტომბრისტებს, საეკლესიო სკოლას დამოუკიდებლობას ნუ წაართმევთო. სასულიერო წოდება თავის სიო სკოლისაო.

სტორჩავს სასურველად მიაჩნია, რომ პირველ-დაწყებითი სკოლები სამინისტროს ხელში გაერთიანდეს.

ნეკლიუდოვიც მომხრეა, რომ ყველა სკოლებს სამინისტრო განაგებდეს.

საეკლესიო სკოლების მომხსენებელი **ლვოვი მეორე** იურიდიულ და ეკონომიურ მოსაზრებით საეკლესიო სკოლის დამოუკიდებლობას ემხრობა. უნგრეთის კონსტიტუციაც სასულიერო წოდებას უფლებას აძლევს საეკლესიო სკოლების წარმოებასაო.

ორატორს სწამს, რომ სათათბიროს პირ-ნათლად შეასრულებს თავის ისტორიულ მოვალეობას, რასაც მას რუსეთის ხალხი აკისრებს და ამ მუხლს უარყოფს. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

საერო სკოლების მომხსენებელი **კოვალევსკი** აცხადებს: კამაეში აურიეს წოდებრივი მტრობა და განყენებული თეორიებიო. ეს კი საკითხის გარკვევას აძნელებს. არსებითად კი საჭიროა მხოლოდ, რომ მთავრობას, რომელიც სახალხო განათლებაზე 160 მილ. მანეთსა ხარჯავს, ერთი პასუხს-მგებელი აგენტი ჰყავდეს და მთელმა თანხამ ერთ უწყების ხელში გადიროს. ეკლესიას, თავის ხარჯით შენახულ სკოლებში, ისეთივე დამაარსებლის უფლებანი ეძნება, როგორიც ერობას, ქალაქებს და საზოგადო დაწესებულებათ. შემცდარია იმისი მტკიცება, ვითომც მე 14 მუხლი საეკლესიო სკოლასა სპობდეს. არავინ არაა იმისი წინააღმდეგი, რომ ეკლესიამ თავის ხარჯით სკოლები აარსოს. (ცენტრი და ოპოზიცია ტაშს უკრავს)

თავმჯდომარის ადგილს კაპუსტინი იჭერს.

სედენკო აცხადებს, რომ სკოლების გაერთიანებას მისცემს ხმას.

ლუკაშინი გლეხ დეპუტატთა სახელით აცხადებს, რომ საეკლესიო სკოლები სამინისტროს დაექვემდებაროს.

ნოვიცკი მეორე ამბობს, რომ სკოლიდან იმ სასულიერო წოდების ჩამოშორება, რომელიც ათ წლობით სათავეში ედგა სახალხო განათლებას, უსამართლობაა და დანაშაული.

ტიმოშკინი, როგორც გლეხი, სამრევლო სკოლის მომხრეა და ლუკაშინის განცხადებაზე გულის წყრომას აცხადებს.

ეპისკოპოსი ევლოგი ნაციონალისტთა სახელით აცხადებს, რომ სამრევლო სკოლების გამგებლობა ისტორიული და ხელშეუხებელი უფლებაა მართმადიდებელ ეკლესიისა.

ვიაზიგინი მე-14 მუხლის მიღება, ეს არის სახურავი, რომლითაც წმინდა რუსეთს კუბოში ამწყვდევენო (მარცხნივ და ცენტრში მოძრაობა). მემარცხენეთა შესწორებანი, ამ კუბოს პირქვე ამხობს, რის გამოც მემარჯვენენი ამ საკითხის გადაწყვეტას ვერ დაესწრებიანო.

მემარჯვენენი დარბაზიდან გადიან.

სათათბიროა მე-14 მუხლს მთლად ღებულობს.

ჩელიშევი იმ შესწორების მომხრეა, რომ სკოლიდან 150 საჟენზე ახლო ნება არ მისცენ სამეკიტნოების გახსნისა. 137 ხმით 103 წინააღმდეგ ეს წინადადება უარჰყვეს.

სკოლის კანონ-პროექტის ზუსტლობითი განხილვა დასრულდა.

აცხადებენ სოც.-დემოკრატების და შრომის ჯგუფის მიერ წარდგენილ შეკითხვას, ვოლოგდისა და ზირინტუის ციხეებში კატორგა-მისშემოღების თაობაზე, რის გამოც ალეკსეევს მკვლელმა საზონოვმა თავი მოიკლა.

ჩხეიძეს შეკითხვის განხილვა საშურად მიაჩნია და სწამს, მოვა დრო, როდესაც თვითონ ხალხი განაცხადებს თავის გულის წყრომას, ციხეების საწამებელ ადგილად გადაქცევისათვის. სოციალ-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ ამ საკითხს საშურად არ მიიჩნევენ, რადგანაც მთავრობისათვის და მესამე სათათბიროსათვის ხელსაყრელია, რომ პოლიტიკური ტუსაღები თვითონვე ისპობდნენ სიცოცხლეს, ვინაიდან ეს უფრო იაფად უჯდებათ, ვიდრე სახრჩობელა, ან დახვრეტა.

მარკოვი მეორე ამტკიცებს, რომ ციხის მთავრობის მოქმედებაში არავითარი უკანონობა არაა, ვინაიდან გადასახლებულთა დებულების მე-443 და მე-472 მუხლით, კატორგა-მისჯილთა გაწკეპლა ნებადართულიაო. მემარცხენეებს ამისი ცოდნა არგებდათ. კატორგა-მასჯილთა უპირატესობის გამოსარჩლება არ ვარგა, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც საკატორგე კანდიდატები არიან (მარცხნივ ხმა: ჯალათობის კანდიდატი!)

როდიჩევი. თუ გსურთ, რომ საზონოვს ისე კი არ იხსენიებდნენ, როგორც პლეკვეს მკვლელს, არამედ როგორც ადამიანს, რომელმაც ციხეში მოიკლა თავი, რადგან იქ წამება და გათახსირება ვერ აიტანა—მაშინ ეს შეკითხვა საშურად უნდა განიხილოთო. (ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ და ოპოზიციაში, მარჯვნივ ყვირილი და სტვენა).

121 ხმით, 111 წინააღმდეგ, ამ შეკითხვის საშურობა უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29—30 ნოემბერი.

საზღვარ-გარეთ.

პარიზი. ჰავასის სააგენტო, 28 ნოემბერს დილის 5 საათზე, რიო-

დე-ჟანეირიოდან იუწყება, რომ ზარბაზანის ხმა ისმოდაო. გემი „რიო-პრანდედოსული“ აჯანყებულა და ქალაქისათვის ზარბაზნის სროლა აუტეხია. ბატარეია პასუხს აძლევდა. სროლა გრძელდება. შეშინებული მკვიდრენი გაიხიზნენ.

თავრიზი. მთავარი ელჩი პოხიტონოვი ჩამოვიდა.

გზ. „ირინი-ნოუ“ იწერება, ვითომ ყაზვინის რეაქციონერებმა რუსეთის მთავრობას სთხოვეს, რუსეთის ჯარს სპარსეთიდან ნუ გაიყვანთო.—ეს ხმები სიმართლეს მოკლებული ალმოჩნდა.

რომი. რამდენიმე დღეს კოკისპირული წვიმა იყო, რამაც ვენეციას დიდი ზარალი მიაყენა, ლომბარდისა და ლიგურიის მიდამოებიც დააზარალა. პორტ-მურიცის რკინის გზაზე მიმოსვლა შესწყდა. სან-რემოში ზეთის ხილისა და ხეხილის ბაღები წალეკა. სახლის ნანგრევებმა ორი კაცი დაიტანა. სად. პალაცის მახლობლად მთა მოზღვავდა, რის გამოც მატარებელი ლიანდაგს გადასცდა.

ათინა. ეროვნულ კრებაზე არჩევნები მოხდა.

პეკინი. ფოსტისა და გზათა მინისტრმა ტანშოიმ, ავადმყოფობისა გამო, სამსახურიდან გასვლის ქაღალდი შეიტანა. მთავრობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, ხოლო ერთის თვით დასვენების დასტური მისცა.

სტამბოლი. ყურბან-ბაირამობის დღესასწაულისა გამო სულთანი სადარბაზოდ ღებულობდა. ამავე მიზეზით ოთხი დღეა გაზეთები არ გამოსულა.

ბერლინი. დეპუტატთა პალატის დარბაზში, გერმანიის სამეურნეო საზოგადოებამ დიდებული კრება გამართა, რომელსაც იმპერატორი, მისი კანცლერი და დიდებულნი დესწრნენ. იმპერატორმა მოკლე სიტყვით ამ საზოგადოების ღვაწლი აღნიშნა გერმანიის მეურნეობის განვითარებაში.

[illegible] განაცხადა: გერმანია საფრანგეთთან ერთად იმ აზრს ადგია, რომ მაროკოს საქმის გადაწყვეტა მაროკოს სულთანისა და ყველა სახელმწიფოთა თანხმობით უნდა მოხდეს, იმ სახელმწიფოთა თანხმობით, რომელთაც ალჟირის ხელშეკრულების ხელი მოაწერესო.

ვენა. „კორესპონდენტენეც-ბიურო“ იუწყება, სამინისტრომ დაადგინა სამსახურიდან გადადგესო.

რუსეთი.

ოდესა. რუსეთ-დუნაის ამხანაგობის გემი „ბოლგარია“, 27 ნოემბერს საღამოს 10 საათზე, გამოვიდა ოდესიდან. გზაში ცეცხლი გაუჩნდა და დიდად დაზიანდა. ბაქანის ტვირთი ზღვაში გადაჰყარეს, ოთხი კაცი წყალში გადავარდა, ერთი დაირჩო. კაპიტანის თანაშემწე ცეცხლის შემკეთებელი და ერთი მეზღვაური ცეცხლისგან სასიკვდილოდ დაშავდნენ.

მინსკი. სლუცკის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე რამდენიმე დამნაშავისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ნესვიჟის „მეშჩანთა“ გამგეობის გაძარცვა და ერთი მოსამსახურის მოკვლა. 15 ბრალდებულთაგან მხოლოდ ორი გამოცხადდა; ერთს რვა წლის კატორგა მიესაჯა, ხოლო მეორე სასამართლომ გაამართლა.

პეტერბურგი. მეფემ კეთილ ისურვა და მიიღო ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენელ კომისიის თავმჯდომარე—ალექსეენკო.

ხარკოვი. მემთამადნეთა კრებაზე გამოირკვა, რომ 1910 წ. 9 თვის განმავლობაში, სამხრეთ რაიონის გზებზე გაუტანიათ 25,755,300 ფუთი მარილი. გადასწყდა, რომ მარილის მადნების იჯირით გაცემის პირობანი არ იქმნეს შეცვლილი, როგორც ახლა აპირებენ.

პეტერბურგი. გზათა სამინისტრომ სახელმწიფო სათათბიროში წარადგინა შეიტანა: კავკასიის მთის გადამსერ გზის გამოსაკვლევად მიეცეს სესხად 300,000 მანეთი.

კასპი-ვოლოჟსკის კომიტეტს ნება დართეს დახარჯოს 30,000 მანეთი [illegible] ალეუტელთა სასარგებლოდ.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა სისრულეში მოსაყვანად უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოსაგან, რომ პირველ გილდის ვაჭარებრაელებს ეძლევათ უფლება ცხოვრებისა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

მოსკოვი. დაბაპტიმრეს სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა ნიკიტსკი, წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, რომელიც გადასახლებულ ადგილიდან იყო გამოქცეული.

ახალი ამბები

ტფილისი

დახმარება. ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, 600 მან. ყოველწლიური შემწეობა დაუნიშნოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ნავთლუღის პირველდაწყებით სკოლას.

ტფ. პოლიცმეისტრის განკარგულება. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, კვირა-უქმე დღეებში გაძლიერებული პოლიცია იდგეს ხოლმე გოლოვინის პროსპექტსა და მიხეილის ქუჩაზე და სასტიკი თვალყური ადევნონ მოსწავლეთ, რომელნიც მეტად უზრდელად იქცევიან ქუჩებზე და ხშირად გამვლელ ქალებს უშვერის სიტყვებით იხსენიებენ.

ქალთა უმაღლესი კურსები ტფილისში. 28 ნოემბერს ქალთა უმაღლეს კურსების დამაარსებელთა კრება მოჰხდა, საგანგებოდ მოწვეულ პირთა თანადასწრებით. კრებამ საპიროდ იცნო, მომავალ წლიდან აუცილებლად დააარსოს კურსებთან მედიკური ფაკულტეტი. ამავ საგნის გამო ამ დღეებში მეორე კრება მოჰხდება.

სასიკვდილო განაჩენი. 24 ნოემბერს ოლქის სასამართლომ ქუთაისში გაარჩია საქმე სოლომონ დონდოვაძისა და ირაკლი მიქაბერიძისა; რომელთაც ბრალად ედებათ 1905 წელს ოზურგეთის სამაზრო სამმართველოზე თავდაცემა. სასამართლომ ბრალდებულთ ჩამოერჩობა [illegible]

[illegible] საზოგადოებაში. 28 ნოემბერს ტფ. სათავად-აზნიურო ბანკის სადგომში თავ. ვ. გ. მაჩაბლის თავჯდომარეობით, ამას წინად ტფილისში დაარსებულ საქონლის მომშენებელ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება მოჰხდა. როგორც გამგეობის თავჯდომარის თავ. ლ. გ. ჯანდიერის მოხსენებიდან სჩანს, საზოგადოებას 30 ნამდვილი წევრი ჰყოლია. კრებამ თათბირის შემდეგ საგანგებო კომისია აირჩია და დაავალა, შეადგინოს პროექტი საზოგადოების მომავალ მოქმედებისა და წევრთა შეძენის საქმისა. არჩეულ იქმნენ: ვ. გ. მაჩაბელი, ს. ვახვახიშვილი, გ. ს. რცხილაძე, ი. ქუთათელაძე, ა. ლ. ჯორჯაძე, ვ. ი. რცხილაძე და კ. ტყავაძე.

სინოდის ბრძანება. ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ უწ. სინოდისგან ბრძანება მიიღო, ჯამაგირს ნუ შეუმცირებთ იმ მთავარ-დიაკონებს, რომელთაც მოუმზადებლობისა, ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო პირველ-დაწყებით სკოლებში მასწავლებლობა არ შეუძლიანთ, ხოლო მომავალში კი ამ ადგილებზე ისეთი პირები დანიშნეთ, რომელთაც შესაფერი განათლება და დრო აქვთო. სინოდი აგრედვე ურჩევს, მთავარ დიაკონთათვის მოწყობილ იქმნეს დრო-გამოშვებით ისეთი კურსები, სადაც ისინი შეისწავლიან სამღვთო სჯულის მასწავლებლობასო.

სამართლოში. 29 ნოემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე აწ დახურულ გაზეთის „ჩვენი გაზეთი“ს რედაქტორის ზოსიმე ტყეშელაშვილისა, რომელიც სამართალში მიცემული იყო ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილ წერილისათვის ამ სათაურით: „სახელმწიფო სათათბირო და თვითნებობა“. წერილი ეხება ფინლანდიის საკითხს. ბრალდებულმა განაცხადა. წერილი ეკუთვნის სათათბიროს დეპუტატს კარლო ჩხეიძეს, რომელმაც გადმომცა და მეც დავბეჭდეო. სასამართლომ ტყეშელაშვილი გაამართლა, რადგან „ჩვენის გაზეთი“ს მე 48 [illegible] დაბეჭდილი, ხალხში არ გავრცელებულა, რადგან საცენზურო კომიტეტის დადგენილებით აღკრძალულ იქმნა მისი გაყიდვა.

ქართული წარმოდგენები. ხვალ ხუთშაბათს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ დავით ერისთავის მხიარული კომედია „დავიდარაბა“ (ანუ ორღანო და ლეკვი), რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა ჩვენი ძველი და ახალი მსახიობნი. პიესას რეჟისორობს ვ. აბაშიძე. შაბათს, 4 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება „ნიშანი ყოფა-ქცევაში“, რომელიც ამას წინად იყო წარმოდგენილი და ჩვენს საზოგადოებას მოეწონა.

კვირას, 6 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება გერმანელ დრამატურგის ცნობილი ტრაგედია „ურიელ-აკოსტა“, რომელშიაც მთავარ როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ექიმ ტურიაშვილის საქმე. 9 დეკემბერს სიღნაღში გაირჩევა ექიმ ტურიაშვილის საქმე, რომელსაც მონაზონის გაუპატიურება ბრალდება.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ღღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. ს. რ. გორგაძე წაიკითხავს რეფერატს: „ნიკოლოზ მარრი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა“, შემდეგის პროგრამით:

1) რა პირობებში მოუხდა მარრს სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყება.
2) სომხურ-ქართული ფილოლოგია.
3) ქართული ენის ბუნება და გრამატიკა.
4) ქართული მწერლობა (ანბანი და სამწერლო ენა).
5) ქართული მწერლობა (მწერლობის ისტორია: პირველი და მეორე პერიოდი).
6) ქართული მწერლობა (მწერლობის ისტორია: მესამე და მეოთხე პერიოდი).
7) საქართველოს ისტორია და არქეოლოგია.
8) თანამედროვე საკითხები და საზოგადო დასკვნა.

ილიას სალამოს ანგარიში. გვთხოვენ დავბეჭდოთ 27 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების [illegible] მისი სახელდობის ფონდის გასაძლიერებლად გამართულ სალიტერატურო სალამოს ანგარიში.

შემოვიდა ბილეთებიდან და სხვა 561 მან. 37 კაპ. დაიხარჯა: თეატრის ქირა 100 მან. ხორო 20 მან. სინემატოგრაფი 12 მან. პიანინოს ქირა 10 [illegible] განცხადება გაზეთებში 10 [illegible] ბოროტმყოფლის და აფიშების დაბეჭდვა 9 მან. 50 კაპ. და გაკვრა 9 მან. და სხვა წვრილმანი 33 მან. 55 კაპ. სულ ხარჯი 204 მან. 5 კაპ. დარჩა წმიდა მოგება 357 მან. 32 კაპ. აქედან მიღებულია 337 მან. 67 კაპ. და დარჩა მისაღები 19 მან. 65 კაპ. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ ქალთა კომისია ამასთანავე გულწრფელ მადლობას უცხადებს ქ-ნ დავითაშვილს, ჩირქაძეს, საგინაშვილს, ბ-ნთ შალიკაშვილს, შარაშიძეს, ნ. ერისთავს, ი. ნიკოლაძეს, ი. ზურაბიშვილს ნ. ლორთქიფანიძეს, გრ. დისამიძეს, კ. მაყაშვილს, სვ. ყიფიანს, კიტა აბაშიძეს და საზოგადოდ ყველას, ვინც კი მონაწილეობის მიღებით ან სხვა რითიმე ხელი შეუწყო საღამოს გამართვას, აგრედვე ტფილისის ქართულ და რუსულ აზეთებს („ცხალხო გაზეთს“, ჩვენი საქგეს, „Закавказье“ „Закавк. обозр.“, „Новая рѣчь“) განცხადებათა ფასდაკლებით დაბეჭდვისთვის.

29 ნოემბერს ბოდიცამ ტფილისში შეაპყრო 20 უპასპორტო.

29 ნოემბერს, თვის მოკვდის განზრახვით, საწამლავი დალა შედგა გრეშენიკოვმა, რომელიც მისვამდის საავადმყოფოში, გაგზავნეს.

ი. ს. ჯაბადრის არჩევის გამო

როგორც იქმნა, დასრულდა ის გრძელი და გაჭიანურებული კომედია, რომელსაც ტფ. ქალაქის „მამები“ ოთხის თვის განმავლობაში თამაშობდნენ.

29 ნოემბერს ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანი მოჰხდა. არჩეულ იქმნა ხმოსანი ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი, რომელსაც გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული აქვს დამსახურებული ჩვენს საზოგადოებაში.

იგი ნაფიცი ვექილია და მხურვალე მონაწილეობას იღებს ბევრს ქართულს საზოგადო დაწესებულებასა და საზოგადოებაში და აგრედვე ძველი ჟურნალისტია.

ი. ს. ჯაბადარი მხვნე, გულწრფელი და პირდაპირი კაცია, მოკლეგული [illegible] ერთა მოძულეობის გრძნობას და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას ყველა თავისი იდეური მოწინააღმდეგე განსაკუთრებით აფასებს და პატივს სცემს.

ლურ-და-ლურ

ვ. ფაფაზიანისა.

(ქურთული პოემა)

იქ, შავ-მდინარის საუცხოვო ნაპირას, ცხოვრობდა ახო. არ იპოვებოდა ქვეყნად იმაზე უმამაცესი და უმშვენიერესი ვაჟკაცი. ვის შეეძლო მასთან გამკლავება, იარაღის აყრა! ავზაკნი ვერ ჰბედავდნენ მის სიახლოვეს გაკარებას და მხეცნი მის ცხვრის ხელის ხლებას!

რამდენადაც ლმობიერი იყო ახო ყოველივე კეთილის მიმართ, იმდენად ულმობელი—უკეთურებისადმი.

ლამაზი იყო ახო, მშვენიერი, როგორც ამომავალი მზე. ქალწულნი ბნდებოდნენ და ჭკუა-გონებას ჰკარგავდნენ მის დანახვაზე.

ახლა რა რიგ უკრავდა? იქნება მარტო ანგელოსები ჰგალობდნენ ისე, რა ხმებსაც გამოსცემდა მისი სალამური, ისე გასაოცარს, ისე სიყვარულით აღსავსეს, ისე მომხიბვლელს!.. ხმა მისი კვნესოდა „ნაზად და ნაზად“, წანწკარებდა დინჯ ნაკადულივით, იფანტებოდა შეყვარებულ ბულბულის სევდიან ტკრიალივით! ვაჟკაცი თუ მხეცი უნებლიედ უნდა შეჩერებულიყო მის ხმაზე და სმენად გადაქცეულიყო, სულ განაბული.

წამოჯდებოდა ახო მთის მწვერვალზე და მიდამოს თვალს მოავლებდა: მის ფეხთ ქვეშ იკლაკნებოდა შავი-მდინარე, ცელქი ნიავი უალერსებდა მის შუბლს. ის კი უკრავდა სალამურს!

უნდა გენახათ, ძაღლები როგორ შეცქეროდნენ მას, რა გულსაკლავად ყმუოდნენ, წკმუტუნობდნენ! უნდა გენახათ, ცხვრებს როგორ ავიწყდებოდათ ძოვნა და მასთან მიჯარდებოდნენ.

ამ ხმებს თრთოლაში მოჰყავდა ქვები, აღელვებდა მდინარეს, ჰხიბლავდა ბუნებას, ატირებდა ნიავს, ამოძრავებდა ყველაფერს, შურს ულვიძებდა ანგელოზებს!

ასეთი იყო ახო!

განა ცხვრებს შეეძლოთ მის ტკბილ ხმებს არ დამორჩილებოდნენ? ალაგას ის სალამურის ხმით თავს უყრიდა მთელ ფარას თავის გარშემო.

თუ საძოვრად უნდოდა გაერეკნა „ბერიკს“ უკრავდა,—წყლის დასალეკად.—„ხოზატს“ და—თავისთან მიყვანა ჰსურდა „დაძახილს“.

ყურს მოჰკრავდნენ თუ არა სალამურს ყოველივე დაბრკოლებას გადალახავდნენ და მიკუნტრუშობდნენ ახოსაკენ.

ასე ცხოვრობდა ახო, განცალკევებული ბუნების წიაღში, მთების უბეში.

ბედნიერი იყო ახო!

ერთხელ მან თვალი მოჰკრა ბატონის ასულს; თვალი მოჰკრა და შეუყვარდა.

კეკლუცი რამ იყო ზალხე! თვალები მომხიბვლელი, ტანი—ალვის ხე, წარბები—შვილდივით მოზიდული, ლოყები—ვარდივით ტურფა.

დაინახა ზალხემაც ახო და შეუყვარდა იგი! დიდ დარდს მიეცა ახო! დაჰკარგა სიმკვირცხლე, სიჩაუქე, სიმხიარულე!

მთელის დღეობით სასახლეს დასტრიალებდა გარშემო, თუნდაც იქ ცხვრებისთვის საძოვარი არა ყოფილიყო! შესცქეროდა სასახლეს, მწუხარედ უკრავდა სალამურს, რომელშიაც აქსოვდა სულსა და გულს—თან მდუღარე ცრემლს აფრქვევდა.

ზალხეც არა ნაკლებ იტანჯებოდა. ფანჯრის ფარდას მოფარებული, თვალს არ აშორებდა ახოს და ყურს—მის სიმღერას. არც ჭამა იყო მისთვის, არცა სმა!

კარგად იცოდნენ ორივემ, რა შორი-შორს იყვნენ ერთმანეთისგან; იცოდნენ, რომ ბატონის ასული მწყემსის მეუღლედ ვერ გახდებოდა. მაგრამ სიყვარული ღვთაებრივი ცეცხლია და არ იცის სივრცე და სიშორე.

შორს მჭვრეტი და ცბიერი იყო ახოს ბატონი. მალე შეიტყო ახოს სიყვარული და განრისხდა. ჯერ სიკვდილი დაუპირა კაცნიერ მწყემსს; მაგრამ თავი შეიკავა: არ უნდოდა ვიღაც მწყემსის სისხლში ხელი გაესვარა.

მაგრამ ქვეყანა რას იტყოდა, რომ გაიგებდა ამ ამბავს! გადასწყვიტა თავიდან მოეშორებინა ახო, თავისივე ნებით.

ბატონმა იფიქრა, ბევრი იფიქრა და მოიგონა ასეთი საშუალება. ბიჭები გაგზავნა და ახო დაიბარა.

—ვიცი, ახო, რომ ჩემი ასული გიყვარს. ამბობენ, შენ ხარ გულადი, ვაჟკაცი და სალამურის შესანიშნავი დამკვრელი. ჩემ ქალს მოგცემ, მხოლოდ ერთის პირობით: „გამიგონია, რომ შენი ცხვრის ფარა შენი სალამურის ხმაზე დადის. ჰხედავ, აამ მაღალ კოშკს? მე გაკეთებინებ ხის კიბეს, რომ მის წვერამდე სწვდებოდეს. შენ დაჯდები იქ, მაღლა, ცხვრებს შორს დააყენებ. თუ სალამურის ხმით შენ მართლა აიყვან შენთან,—მომიცია ჩემი ქალი,—იგი შენი იქმნება!

თუ არა და—შორს ჩემგან! ახლავე აიკიდე გუდა-ნაბადი, და დამეკარგე!

ახოს ღიმილი მოუვიდა, თავი დაბლა დაუკრა და ჰკადრა:

—ბატონი ხართ! თანახმა ვარ მაგ პირობისა!

ბატონმა ბრძანება გასცა და ამართეს კიბე, რომელსაც 99 საფეხური ჰქონდა.

ახო ავიდა მაღალ კოშკზე, წამოჯდა ზალხეც მის შორი-ახლო, აივანზე.

და უთხრა ბატონმა მწყემსს:

—აბა, გამხნევდი! ზალხეც აქ არის!.. შენია იგი, თუ აასრულებ ჩვენს პირობას!

ზალხემ გადახედა ახოს, გაუღიმა, გაწითლდა და რაღაც ანიშნა.

ახოც მიხვდა, რომ იგი უყვარს ზალხეს და მისი გული სიხარულით აივსო.

ქუდი გვერდზე მოიგდო სალამური აიღო, ტუჩებით დაეკონა და დაუკრა!

ხმა მისცა მთამა და ბარმა, რხევა იწყეს ხეებმა, შრიალი—ფოთლებმა, შეინძრა ქვები.

სიბრაზით ათრთოლდა ბატონი; ერეოლამ აიტანა შეყვარებული, ზალხე ახოს ფეხთ ქვეშ განერთხა.

დაიძვრა ცხვრის ფარა, გაემართა კიბისაკენ და იწყო ასვლა!

—

ოჰ, მწყემსო, შავ მდინარისავ! შენ, რომელიც ატირებ მთასა და ბარს, რომელიც ამშვიდებ და იმონებ ტყის ნადირთ, ატოკებ ხეებსა და ქვებს! რად მიენდე ბატონს?! რად ახველ კოშკზე?

—

ცხვრები ადიან კიბეზე, ერთმანეთს აწყდებიან, რომელი რომელს გაასწრებს.

ტკბილის ხმით მოხიბლულნი ივიწყებენ მათ ქვეშ მყოფ უფსკრულს, და თავგანწირვით ადიან მაღლა და მაღლა!

ხალხი განცვიფრებული შესცქერის, ბატონი ბრაზმორეული დგას, ზალხე ახოსკენ წახრილი და ხელებ გაპყრობილი შესძახის.

— შენი ვარ, ახო, შენი სამარადისოდ! მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ მომეტებულად, ვიდრე ლეილას მექლუნა; მიყვარხარ მომეტებულად, ვიდრე ჰეპელას სინათლე, ბულბულს — ვარდი, დედამიწას — მზე, მცენარეს—დედა-მიწა!

„შენა ხარ ჩემი სინათლე, ჩემი ვარდი, ჩემი მზე და ჩემი დედა-მიწა!

ისმენდა ახო ამ ჭიკჭიკს და გული სიხარულით უძგერდა, აღტაცებაში მოდიოდა! უკრავდა ძლიერად, უფრო და უფრო გრძნობიერად!

ცხვრებიც ადიოდნენ სულ მაღლა და მაღლა!

წინ ყოჩი უძღვით, უცებ მოსხლტა კიბეს, ყარამალა წამოვიდა თვალუწვდენელ სიმაღლიდან და ღრანტეში ბღავილით ჩაიჩეხა.

ახომ თავში ხელი შემოიკრა.

—ვაჰ, ჩემო მშვენიერო, ყოჩო, ჩემო ცხვრების მეფევ!—შეღრიალა მან გულნატკენად და ტირილი მოართო.

მაგრამ თვალი მოჰკრა ზალხეს და მთლად დაავიწყდა ძვირფასი ყოჩი! მიიტანა პირთან სალამური და ისევ დაუკრა. შეჩერდნენ ცხვრები, შეფიქრიანდნენ, ბელადის უბედურება რა ნახეს, მაგრამ ტკბილის ხმით დამონებულნი ისევ ზევით იწევდნენ.

სცადა წინა ცხვარმა, ისკუპა ასახტომად... მოისმა ბღავილი და ისიც ყოჩს გამოუდგა.

—ვაი და ვაგლახ მე, ჩემო უმანკო ცხვარო!!—შემოიკრა თავში ხელი ახომ; მაგრამ ხალხის დანახვამ მყისვე დაავიწყა ყოველივე ამ ქვეყნიური და დაუკრა კიდევ მეტის ეშხით.

მეორე ცხვარმაც სცადა ახტომა, მაგრამ ზემო საფეხურს დაეჯახა, ამოიბღავლა და ისიც ხრამში გადაეშვა.

—„ამოხტით, საყვარელო ცხვრებო, ამოცანცალდით, მშვენიერო ბეკეკებო, აქ, აქ თქვენს პატრონთან“! უკრავდა ახო, მაგრამ ცხვრები ფეხს ადარ იცვლიდნენ.

გაბრაზდა ახო—არ იცოდა მიზეზი. ჩაჰბერა სალამურს და „თვისი გრძნობანი, თუ სიყვარული, თუ ტანჯვა“ ყველა სიმღერით წარმოსთქვა! მოიხიბლა ბუნება საოცარის ხმით!

შერცხვა ბატონს თავისი საქციელისა; გაქვავდა ზალხე და გული უღონდებოდა.

ახომ კი შესცვალა კილო სიმღერისა. რას უკრავდა ეხლა, თვითონაც არ იცოდა, ქარი მიყუჩდა, მდინარე შედგა, ქვეყანამ განაბა სული. ვის არ გაუგონია „ლურ-და-ლურ“, რომელიც ქვის გულსაც კი იძონებს. თრთის მისი ხმით შეყვარებული გული! გიჟდება მისის ხმით შეყვარებული ქალწული, ბნდება და მიფრინავს მიჯნურისაკენ!

ეს არის ჯადოსანი ხმა, ეს არის სიმღერათა დედოფალი! იგია ანგელოზთა ლაღადება, იგია სული და გული ახოსი—

დაიძრნენ ცხვრები; მიისწრაფიან პატრონისაკენ, მაგრამ ძირსა სცვივიან.

წამოიწია ახომ, გადმოიხარა წინ და... დაინახა ჩანგრეული კიბე! თურმე ბატონს ერთი საფეხური გადაეხერხა. ახო მიხვდა ბატონის მუხანათობას და გადაჰხედა.

იგრძნო მან, რომ დაკარგულია მისთვის ზალხე და დაკარგულია თვითონაც ქვეყნისათვის!

წამოიწია ზალხემაც და გადახედა თავის ბატონს—ახოს!..

იგრძნო იმანაც, რომ დაკარგულია მისთვის ახო და თვითონაც—ქვეყნისთვის. ყოველივე მდუმარებამ ფიქრმა, ვარამმა მოიცვა.

შესწყდა „ლურ-და-ლურ“, მისი უკანასკნელი ხმა ჰაერში გაიბნა.

მოისმა წივილ-კივილი! და ჰაერში ჩქარის ტრიალით დაეშვა ძირს ორი სხეული, რომ დამსხვრეულიყვნენ უფსკრულის სიღრმეში ორივ ერთად ჩახუტებულები.

იგინი იყვნენ ახო და ზალხე!

თ. განდელაკი.

ქალაქის გამგეობის წევრობა მძიმე და პასუხ-საგები თანამდებობაა, რადგან მეტად მტკიცე და შეურყეველი ხასიათი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ თავი გაართვას ქალაქის რთულს და მრავალ-ფეროვანს საქმეს, ცალმხრივობამ არ გადასძლიოს და სამართლიანობა და მკხოვრებთა საერთო ინტერესები მსხვერპლად არ შესწიროს რომელიმე კერძო პირის, ან ჯგუფის ეგოიანობასა.

უფრო ძნელი და პასუხ საგებია ეს თანამდებობა დღეს, როდესაც ტფ. ქალაქის თვით-მმართველობაში მტკიცედ აქვს ფეხი გადგმული ნათლი-მამობას, შენ-ჩემობას, თეთრ-კბილს და შავ გულს და ყველა იმ მრავალ უსამართლობას, რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში ამას წინად ვრცლად ვწერდით.

დიახ, ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები დღეს მთლად მივიწყებულია „მამები“-ს მიერ. ეკანასკნელნი მსახურნი და ყურ-მოჭრილი მონები არიან მხოლოდ მცხოვრებთა ერთის ჯგუფისა და თანდათან ღრმავდება ის საბედისწერო უბსკრული, რომელიც ძალიან აშორებს მცხოვრებთ ქალაქის ხმოსნებისაგან.

ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ ი. ს. ჯაბადარის სახით მოგვევლინოს ისეთი კაცი, რომელიც დამცველი იქმნება რომელიმე განსაზღვრულ ჯგუფისა, ან ეროვნებისა და არა ქალაქის დემოკრატიულ ნაწილის საერთო მისწრაფებათა. არ გვსურს, რომ იკი ქალაქის გამგეობის დანარჩენ მესვეურებივით ერთს რომელიმე უკიდურესობაში ჩავარდეს, მხოლოდ ეფლება კი გვაქვს მოვთხოვოთ მას, რომ შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს ქალაქის თვით-მმართველობაში დაბუდებულ მავნე პოლიტიკას და მით განამტკიცოს ჩვენში ის რწმენა, რომ ი. ს. ჯაბადარი ისეთი პირდაპირი, მოურიდებელი და სამართლიანობის მოყვარული კაცია, როგორადაც მას იცნობს საზოგადოება

— მე ვიქნები აღმსრულებელი ქალაქის საბჭოს ნებისა,—სთქვა არჩევის შემდეგ ი. ს. ჯაბადარმა და ამ სიტყვებმა როგორღაც დისონანსი შეიტანა იმ მთლიან და საღ რწმენაში, რომლის მატარებლად დღესაც მიგვაჩნია ახალი წევრი გამგეობისა.

დაე, ეს სიტყვები სარჩულად ნუ დაედება იმ კაცის მოქმედებას, რომელიც ჩვენ საბჭოს ნების აღმსრულებული კი არა, არამედ მცხოვრებთა საერთო ინტერესების დამცველი გვგონია. **ხალამური.**

ქალაქის საბჭო

29 ნოემბერს კრება დაიწყო 8 ს. 20 წ. ს. ი. ხატისოფის თავმჯდომარეობით. დასწრო 40 ხმოსანი. ქანდარა ხალხით იყო სავსე.

პირველად კრებას მოხსენდა ცნობა იმ ხმოსნების შესახებ, რომლებიც საბჭოს წარსულ კრებას არ დასწრენ. კითხულობენ წარსულ კრების ანკარიშს, რომელიც უკმაოთოდ მიღებულ იქნა.

ა. ხატისოფი კითხულობს კამგეობის დადგენილებას რომელიც შეეხება სუდთ ადწერას. როგორც მოხსენებიდან გაჩნდა, კამგეობის კამოანკარიშებით, ამ საქმისათვის საჭირო ეოფილა 9509 მ. 50 კაპ. კამგეობა მოითხოვს ადნიშნული თანხის კადადებას. ასეთივე აზრის ეოფილა ქალაქის ფინანსიური და იურიდიული კომისიები. ხმ. ბაბოფი წინააღმდეგია სუდთ-ადწერას შეუდგნენ. მისი აზრით, ფული ტეუილა დაიხარჯება და საქმეს კი არა ეშველება რა. ისეთივე არეულ-დარეულ და ეწესრიგობა იქნება ოჯახების წეგრთა სიებში, როგორც ამ ხუთიოდე წლის წინად ადწერილნო. საკმარისია კამგეობა შეუდგეს ნელ-ნელა სიების შესწორებასო. ბაბოფის აზრს ემხრობა ხმ. ქანანოვი, დოდუხანოვი და სხ. წინააღმდეგს დაპირკობს კამგეობის წევრი ნ. ე. ერდეთინსკი. ის იცავს კამგეობის მოხსენებას. საბჭომ ხმის უმეტესობით უარჰყო კამგეობის მოხსენება და დაადგინა ქალაქის საბჭოს საკრებულოს მიეშალტოს რამდენიმე კაცი, რომლებიც თანდათან შესწორებენ სიებს და ეცდებიან მის მოწესრიგებას. თუ რამდენი დაჯდება, ამის შესახებ კამგეობამ უნდა წარუდგინოს საბჭოს ვრცელი ანგარიში. ამით დამთავრდა კამათი ამ საკითხის შესახებ.

ჯერ მიდგა კამგეობის წევრის არჩევნებზე. სასა არჩევნებს შეუდგებოდენ, დაისვა კითხვა, თუ რამდენი მეცეს კამგეობის წევრს ჯამაგირად. უმრავლესობა მოამხრეა დაენიშნოს იმდენი, რამდენიც წინად ეძლეოდა— სახელდობრ 3600 მან. ფარული კენჭის ეარით ასეეე დამტკიცდა. ასახელებენ კანდიდატებს. თითო ხმით დასახელეს: ხმ. ხენენცი, ფიშერი და ბაბოეი, სამი ხმით—ხმ. ნეპრინცევი ერეა ხმით—ვ. რცხილაძე და 31 ხმით ივ. ჯაბადარი. ათმა ცარიელი ბარათი ჩაგდო ეეთში ხენენცი, ბაბოეი, ფიშერი და ნეპრინცევი ეარს აცხადებენ ეეთის დადგმაზე. რცხილაძის შესახებ ხმ. მარკაროეი აცხადებს, მან დამოვდა კანეაცხადო, რომ ის თანახმა არის ეეთის დადგმაზეო. აკრედვე თანხმობა განაცხადა ჯაბადარმაც. ამგვარად, ეეთი დაიდგეს ვ. რცხილაძემ და ივ. ჯაბადარმა. თედიან კენჭებს, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ვ. რცხილაძემ მიიღო 17 თეთრი და 37 შავი, ივ. ჯაბადარმა 38 თეთრი და 17 შავი. ბ-ებო,—აცხადებს თავმჯდომარე—კამგეობის წევრად არჩეულ იქნა ხმ. ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარიო. მას ტაშის ცემით ეგებებიან. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზში გამოჩდა თვით ჯაბადარი და ქანდარაზე და დარბაზში კიოსმა მქუხარე ტაშის ცემა. თავმჯდომარე სატისოფმა და კამგეობის წევრებმა მიეფოდეს მას; ჯაბადარმა, როგორც მათ, აკრედვე დამსწრეთ მოკლე სიტყვით მადლობა გადუხადა.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა კიდევ რამოდენიმე წვრილმანი საკითხი და დასხდოვებით 12 საათზე სხდომა დაიხურა.

განჯიდან ტფილისში გადმოფრენა.

აგერ კვირაზე მეტია, ტფილისელნი გულის ფანცქალით მოელოდნენ ავიატორ ვასილიევის მოფრენას ტფილისში. გადმოფრენა უნდა მომხდარიყო კვირას, 21 ნოემბერს, მაგრამ აეროპლანის დახიანებისა გამო გადაიდო, 28 ნოემბრისათვის. ამ დღეს, როგორც პირველ კვირასაც დიდუბის საჯირითო მოედანზე თავი მოიყარეს, როგორც კავკასიის მფრინავთა ჯგუფის წევრებმა, ისე აუარებელმა ხალხმა და გულ-გადალეული მოელოდნენ ავიატორის მოფრენას ნაშუადღევის 4 საათამდე. ხალხში დიდი-შიში ჩამოვარდა, ვაი თუ გაბედული ავიატორი გზაზე რაიმე ხიფათს შეემთხვა და სადმე მინდორზე გდია დაშავებულიო, როგორც იქმნა, სინამდვილე გამოირკვა: მიღებულ იქმნა დეპეშა, მანქანა კვლავ დაზიანდა და მხოლოდ ხვალ, 29 ნოემბერს გამოვფრინდებიო. ხალხი დამშვიდდა, მაგრამ ჩქარა საყვედურის სიტყვები გაისმა: ვასილიევი ბავშვებივით გვატყუებს, ამ სიკიოვეში აქ ტყუილად გვაცდევინებსო. ერთის სიტყვით, მოედანზე მყოფი ხალხი დიდად უკმაყოფილო დაიშალა.

მეორე დღეს, ორშაბათს, 29 ნოემბერს ქალაქში მშვენიერი, მზიანი დარი იდგა. წინა დღეთ იმედგაცრუებული ხალხი მოედნისაკენ მაინც ბლომად გაემართა. მართალია, მივიდა ხალხი, მაგრამ ვასილიევის მოფრენის იმედი კი არ ჰქონდა. პირველად იმიტომ, წინა კვირეებში იმედი გაუცრუვდათ და მეორე კიდეც იმიტომ, რომ ასეთი დიდი მანძილი, რომელიც განჯასა და ტფილის შუა არის (176 ვერსტი) ერთ გაფრენით ქვეყნიერებაზე არც ერთს ავიატორს არ გაუვლია ამ გვარის მანქანით, რომელიც ჰაერზე უფრო მძიმეა.

ეს მოსაზრება არ გამართლდა. განჯიდან, როგორც ახლა გამოირკვა, ორშაბათს ნაშუადღევის სრულს ორ საათზე გამოფრენილა ავიატორი და ტფილისში მოვიდა 1 საათისა და 45 წამის ფრენის შემდეგ. იმ დროს, როდესაც ავიატორი ამაყად მოაპობდა ჰაერს, დიდუბის მოედანზე ხალხში დიდი ჩოჩქოლი იყო. არავინ იცოდა, ავიატორი გამოფრინდა, თუ არა.

აი, ბოლოს მოვიდა უცებ დეპეშა, ეს არის ახლა ავიატორმა აქსტაფა გამოიარა და ტფილისისკენ გამოემართაო. აქსტაფიდან ტფილისამდე მხოლოდ 75 ვერსტია. ამიტომ ყველას სიამოვნება დაეტყო. გაისმა ხალხში სხვა და სხვა სიტყვები: მადლობა ღმერთს მშვიდობით უფრენია; ახლა არა უპირსრა... აქსტაფიდან მოფრენა აღარ გაუჭირდებაო...

დრო მიდის. აგერ ოთხის 35 წამია. ვიღაცამ უცებ მახათას მთის იქით მოშავო ღრუბლებში შეამჩნია ბლერიოსეული საფრენი მანქანა.

— მოფრინავს... მოდის... დაიძახა მან და ყველამ იქ მიაპყრო თვალები.

მართლაც, მაღლა-მაღლა ცაში, სჩანდა ავიატორი, რომელიც მოფრინავდა ჩრდილოეთისაკენ. ავიატორი ეფრო ახლო ახლო მოახლოვდა, გარკვევით მოისმოდა მანქანის გუგუნი და აგერ კიდეც უნდა ჩამოეშვას გაოცებულ ხალხის წინაშე მოედანზე, მაგრამ ის, თითქოს სცდილობს, მეტად გაკვირვოსო ხალხი, მოედანს ერთხელ გარს უვლის და ისე ეშვება ძირს.

ავიატორის მეუღლე, აგრეთვე სხვა ხალხი უცებ ავიატორს გარს ეხვევიან. „ვაშა“ და ტაშის ცემა ისმის ყველგან.

ავიატორმა თან მოიტანა ორი რაპორტი განჯიდან გამოტანებული კავკასიის ნამესტნიკთან და მისს თანაშემწესთან. ავიატორი დაუსვენებლივ ჩაჯდა ავტომობილში და წერილები დანიშნულებისამებრ წაიღო, თუმცა გზაზე მეტად დაღლილიყო და შეცივნოდა.

როგორც ავიატორმა განაცხადა მას ბევრი დაბრკოლება აღმოსჩენია განჯიდან აქსტაფამდე ძლიერის ქარისა და სიცივისა გამო, ხოლო აქსტაფიდან ტფილისამდე თავისუფლად უფრენია, რადგან არც ქარს შეუშლია მისთვის ხელი და არც საგრძნობი სიცივე ყოფილა.

უეჭველია, თამამის ავიატორის ვასილიევის სახელი წარუშლელის ასოებით ჩაიწერება რუსეთის ავიაციის ისტორიაში.

ცოტა რამ ქართულ სცენის შესახებ

წლევანდელი სეზონი ქართულ თეატრისათვის განსაკუთრებული სეზონია: ყოველ გაზეთის რეცენზიებში თითქმის მუდამ სიამოვნებით არის აღნიშნული, რომ ჩვენი მსახიობნი დიდის შრომითა და ენერგიით ეკიდებიან საქმეს, რის გამოც წარმოდგენების ანსამბლი მუდამ მშვენიერია, სცენის ტეხნიკური მხარე მწყობრადაა დაცული, სცენის მოწყობილება, როლების შესაფერი ხელოვნური გრიმები, რეკვიზიტის სიმდიდრე და სხვა, ხელს უწყობს წარმოდგენების მწყობრ მსვლელობას. ყოველი ქართველი სიამოვნებით უნდა ეგებებოდეს ამგვარ მოვლენას.

მაგრამ, რამდენადაც მეტის ღირსებებით იჭურვება სცენა, რამდენადაც იგი წინ მიდის და ფართე გზის გაკვლევასა სცდილობს, იმდენად უფრო ნათლად და ეფრო მეტად სჩანს ხოლმე მისი ნაკლულევანება, მისი მთლიანობის დამრღვევი მიზეზები.

წლევანდელმა სეზონმა საესებით გადააჭარბა წარსულ წლების სეზონებს: საზოგადოების წინ სულ ახალგაზდა ძალები გამოვიდნენ, რომელთა დაკვირვებული თამაში, შრომის უნარი და მუყაითობა გვიმტკიცებს, რომ მათა ჰსურთ და ძალაც შესწევთ სამშობლო სცენის წარსაპატეტებლად.

მაგრამ ამასთანავე მათ აკლიათ სწავლა, რომელიც საჭიროა არა მარტო საშუალო ნიჭის პატრონისათვის, არამედ უმაღლეს მადლით მირონ-ცხებულ მსახიობისათვისაც.

რუსეთის თითქმის პატარა, უმნიშვნელო ქალაქებშიაც კი არსებობს დრამატიული კურსები, რომელნიც დიდ სამსახურს უწევენ რუსულ-დრამატიულ ხელოვნების განვითარებას. ეს კურსები, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენს სამშობლოს სცენის მოთხოვნილებას: აქ აღზრდილი ქართველი, თუნდა ნიჭიერიც, ვერ შეითვისებს საესებით წმინდა-ეროვნულ ხასიათს, ვერ იპოვის აქ მტკიცე ნიადაგს.

უცხო სცენაზე და უცხო ტომის მასწავლებლის ხელმძღვანელობით აღზრდილი ქართული მსახიობი, გამოუსადეგარია ქართულ-ეროვნულ თეატრისათვის. წარსულმა სეზონებმა ეს ნათლად დაგვიმტკიცა: ახალგაზდა მსახიობთა შორის ისეთებსაც, ვხედავდით ჩვენ, რომელნიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ და მომავლისათვის იმედებსაც იძლეოდნენ, მაგრამ ეხლა ერთ წერტილზე გაიყინენ და მათ წარმატებაზე ლაპარაკიც კი მეტად მიიჩნიათ.

ამის მიზეზად ჩვენ მხოლოდ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ ზოგი მათგანი აღზრდილი იყო რუსულ სცენისათვის, რუსულ სცენის ხასიათები, მისი სული მათ ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი და, რასაკვირველია, რომ ამგვარად აღზრდილი მსახიობი გამოუსადეგარი იყო ქართულ სცენისათვის.

თუ ქართულ თეატრს აღორძინება ჰსურს, თუ მას ჰსურს მომავალში ნამდვილი მსახიობი ჰყავდეს,—მან „ქართული სკოლა“, უნდა მეჰქმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზდა მსახიობთა ნიჭის განვითარებას, აუცილებელ ცოდნის და ტეხნიკის შეძენას. რუსულ სკოლაში განვითარებული ნიჭი, ცოტა სარგებლობას მოუტანს ქართულ თეატრს, თუ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით ამ ნიჭს აქავე მოუმზადოთ ნიადაგი.

ამისთვის სპეციალურ დრამატიულ ხელოვნების ქართულ სკოლის გახსნა არაა საჭირო: სკოლა თვით სცენაზედ უნდა არსებობდეს გამოცდილი და დახელოვნებული რეჟისსორი უნდა ჰხელმძღვანელოვდეს.

ამ მხრივ მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის სამხატვრო თეატრი, სადაც „მომავალ“ მსახიობთა განვითარებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. იქ თვითონ სცენაზე არსებობს სკოლა, სადაც მომავალ მსახიობებს იმისთანა გამოცდილ და ნიჭიერ რეჟისსორები ხელმძღვანელობენ, როგორიც ბ.ბ. სტავისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მარჯანიშვილი და გორდონ გრეკი.

ეს მოწაფეები, ან როგორც უწოდებენ „თანამშრომელნი“, ხშირად წარმოდგენებშიაც იღებენ მონაწილეობას, სადაც სრულიად უმნიშვნელო როლებს ასრულებენ. მათ ნება აქვთ ყოველ წარმოდგენას და რეპერტუარებს დაესწრნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს „მომავალ“ მსახიობთა გაწვრთნა-განვითარებისათვის. სწორედ ამგვარი სკოლაა საჭირო ქართულ ახალგაზდა მსახიობთათვის, თუ გვსურს, რომ ის მკირეოდენად ნიჭიერნიც, არ შეჩერდნენ და ერთ წერტილზედ არ გაიყინონ.

შეიძლება სთქვან,—რაც სამხატვრო თეატრისათვისაა შესაძლებელი, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ქართულ თეატრისათვის შეუძლებელია. მართალია, მაგრამ განა ზემო მოყვანილ ტიპის სკოლის დაარსებისათვის საჭიროა რაიმე ნივთიერი უზრუნველყოფა? ამისთვის აუცილებელია მხოლოდ სურვილი, ენერგია და მეთაურობა, თუ ყველა ეს თავს იდვე ჩვენ დამსახურებულ და გამოცდილ მსახიობთ მაშინ, ქართულ თეატრის აღორძინებისა და ნათელ მერმისის იმედი შეიძლება ვიქონიოთ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო საზოგადოთ ქართულ თეატრის ადმინისტრატიულ მხარეს: ქართულ წარმოდგენებს აკლიათ ძლიერი მხატვრული თავისუფლება, რომელიც წარმოდგენას მთლიან მხატვრულ ნაწარმოებად აერთიანებს, მათ აგრეთვე კოლლექტიური თავისუფლება აკლიათ, რომელიც ნებას მისცემს ყოველ მსახიობს შეასრულოს თავისი როლი ისე, როგორც მას ესმის და გაეგება.

მოკლეთ რომ ვსთქვათ ჩვენ სცენას მაინც და მაინც არ ესაჭიროება რეჟისსორის თვითმპყრობელობა მთლიანი და ამასთანავე ყველაზედ ძლიერი მხატვრული თავისუფლება უნდა იყოს მხოლოდ კოლლექტიური: მსახიობნი თვით უნდა რეჟისორობდნენ და ძნელსა და მძიმე შემთხვევაში კოლლექტიური ერთსულოვანება უნდა გამოიჩინონ.

თუ ეს ასე არ არის, ხშირად თვით უძლიერესი და ზეგარდმონიჭით-ცხებული რეჟისსორიც კი სუსტია იქ, სადაც მსახიობთა შორის არ არსებობს ჰარმონია, კოლლექტიური ერთსულოვნება. **შალვა ტატიშვილი.**

ლიტერატურული ცნობანი

დიდის ნიჭის დაღუპვა.

მიმდინარე ნოემბრის 17 შესრულდა ათი წელი გამოჩენილ ინგლისელ პოეტის ოსკარ უაილდის სიკვდილიდან. საჭიროა მოვიგონოთ ამ უბედურ პოეტის სახელოვანი და იმავე დროს სასირცხვილო თავგადასავალი.

ოსკარ ფინგალ ო'ფლაგერტი უილს უაილდი დაიბადა 1854 წ. 3 ოქტომბერს, დუბლინში. იგი იყო უმცროსი შვილი ცნობილ ქირურგის სერ ვილიამ რობერტ უალდისა. ოსკარის დედა, ლედი ჟეინ უაილდიც ცნობილია ინგლისურ ლიტერატურაში „სპერანძისა“ და „ჯონფენში ელლისის“ ფსევდონიმით, როგორც ავტორი რამდენსამე წიგნისა ირლანდიის ისტორიისა და სოციალ-წყობილების შესახებ.

ოსკარ უაილდი პირველად პორტორის სამეფო სკოლაში სწავლობდა შემდეგ დუბლინის წმ. სამების კოლეგიუმში, რომლის ჟურნალშიაც, The Koffabas, 1876—79 წ. დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. 1874 წ. უაილდი გადვიდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც მისი ყოფნა ნამდვილ ტრიუმფით იყო მოსილი. მან არამც თუ მიიღო ყველა ჯილდო და საპატიო დიპლომები თავის სტუდენტურ შრომათათვის, არამედ კიდევ 1878 წ. თავის პოემისათვის „როვენნა“ დაჯილდოვებულ იქმნა სერ როჯერ ნიუდიგეტის პრემიით. ამავე წელს მან დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი „ხელოვნებათა ბაკალავრის“ ხარისხით.

1882 წ. უაილდმა ამერიკასა და ინგლისში ლექციები წაიკითხა ხელოვნების საგნებზე. ამავე დროს დასწერა პოემები „სფინქსი“, „გარყვნილ ქალის სახლი“ და ტრაგედია „პადუის დედოფალი“. 1883 წ. დასწერა ახალი პიესა „სარწმუნოება ანუ ნიგილისტები“, რომელიც წარმოადგინეს ამერიკაში, მაგრამ მეტად უფერულად ჩაიარა. ამ წელსვე უაილდმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსთა კრებული, რომლის რამდენიმე გამოცემა გასაღდა 2—3 თვეში. ამ წიგნით დაიწყო პოეტის დიდება, რომელიც დაგვირგვინდა 1890 წ. მისის „დორიან გრეის სურათის“ გამოქვეყნებით. მხოლოდ ინგლისმა საბოლოოდ აღიარა მისი ნიჭი 1892 წ. კომედიის „ლედი უინდერმირის მარაოს“ გამო, რომელმაც სცენაზე ბრწყინვალედ ჩაიარა. კიდევ რამდენიმე პიესის დადგმის შემდეგ ოსკარ უაილდი უმწვერვალეს სიმაღლიდან ერთბაშად დაეცა საზოგადოების თვალში. ამისი მიზეზი იყო როგორც ინგლისელ საზოგადოების პირმოთნეობა და ფარისევლობა, ისე უმთავრესად მისი პირადი გარყვნილი ყოფაქცევა.

1884 წ. უაილდმა შეირთო მისს ქონსტანს მერი ლოიდი. მისგან ეყოლა ორი ვაჟი კირილე და ვივიანე, რომელნიც ახლაც სცხოვრობენ. მისგან განშორებული ცოლი გარდაიცვალა 1898 წ. უაილდი სამართალში მისცეს არა-ბუნებრივ უზნეო საქციელისათვის და კატორგა გადაუწყვიტეს. ინგლისის მთავრობა თითქოს გრძნობდა ამ გარდაწყვეტილების უსამართლობასა და ფარისევლობას,—შეძლებას აძლევდა უაილდს, როგორც დაპატიმრებისა, ისე საქმის განხილვის დროს, გაქცეულიყო. მაგრამ უაილდი დარწმუნებული იყო, რომ „ინგლისელ ჯენტლმენნ არ შეუძლიან სასამართლოზე უარი სთქვას“. ამგვარად იგი მოხვდა ჯერ უანდსუორტისა და მერე რედინგის ციხეში, რომელიც უკვდავ ჰყო თავის შესანიშნავ „ბალადით“. რედინგემის ციხეში უაილდმა დასწერა თავისი აღსარება Deprofundis, რომლის ორი მესამედი ჯერ გამოუქვეყნებელი რჩება, ვიდრე უაილდის თანამედროვე თაობა მასთან ერთად საფლავში არ ჩავა.

1897 წ. 6 მაისს ოსკარ უაილდი ციხიდან გამოვიდა, 43 წლისა. „ყოფილი მეფე „ცხოვრებისა“. ახლა იძულებული გახდა საიდუმლოდ გაქცეულიყო საფრანგეთში მოგონილის სებასტიან მელმოტის სახელით. საფრანგეთიდან უაილდი გაემგზავრა იტალიას, ნეაპოლსა და რომში, შემდეგ ისევ პარიზში დაბრუნდა. აქ უაილდი საშინელ სულიერ ქენჯნას განიცდიდა. იგი ყველამ დაივიწყა ორიოდე მეგობრის გარდა, მას ხიზლით უყურებდა ყველა. ზნეობრივი ტანჯვა უფრო გაამწვავა ქონებრივად გაღატაკებამ. ამისათვის მისი დაფლეთილი სული მოსვენებასა და თავდავიწყებას მხოლოდ ღვინოში ეძებდა. სიპატიმროში დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო და ეს „ცხოვრების მეფე“, ეს arbiter elegautiarum, თითქმის მათხოვრად გამხდარი გარდაიცვალა, 47 წლისა, პარიზის ერთ ბოგანურ სასტუმროში. მისი ცხედარი ბინიუს, სასაფლაოში დაკრძალეს, საიდანაც ცხრა წლის შემდეგ „პერლაშეზე“ გადაიტანეს. განზრახულია მის საფლავზე ძეგლის აგება, რომელსაც აკეთებს ახალგაზდა მოქანდაკე ეპშტეინი.

ახალგაზდობაში ცხოვრებისაგან გალაღებული უაილდი გაიტაცა წუთი სოფლის სიტკბოებამ. დიდებული ნიჭი ვერ მოთავსდა გარყვნილ პიროვნებაში და დაიღუბა. ეს კია, რომ ისტორია ფარდას გადააფარებს მის პირად უზნეობას და მის ხელოვნურ ნაწარმოებთ-კი, როგორც ძვირფას განძს, სამარადისოდ დასტოვებს.

მეზობლიდან ამბები

ფოთი. ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის ბშრობელთა წრის საბჭომ 21 ნოემბერს საკრებულო დარბაზში დარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სკვედ-მოქმედ სადამო გაიმართა. სადამოზე სტენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა: I „ნა ბოიკომ მესტე“ კომედია 3 მოქმედებ. ოსტროვსკისა, „კოზირ ზეუეი კოლოდე“ ხუმრობა ერთ მოქმედება-სანინისა.

წარმოდგენამ უფერულათ ჩაიარა. ხოდო ოსტრებოვისას კვარიანი მოხდენილი თამაშით ცოტა ედფერს აძლევდა. არ შეგვიძლია არ ვსაუბროთ კამეგობას—სადამოს ტეალთ მოწყობისათვის. თუ კამეგობას აზრათ ჰქონდა ადგილობრივ სახოგადოების დაკმაყოფილება, სადამოში ცოტა რამ ქართულიც უნდა შეეტანა. მით შეეძლოთ მოეწვიათ მართალ კარგი სტენის მოყვარეები, რომლებიც აქ საკმაოდ მოიძებნებიან!.. მაგრამ სადამოს კამეგეებს ადგილ ადგილობრივ თვითო სახოგადოების დაკმაყოფილება იმდენათ არ აინტერესებდა, რამდენათაც გინდა ბატრიოტული მისწრაფება...

დასასრულ კაიმართა რუსული და ეკონომიური ტეკვა, თუმცა ფასები მოპატებული იყო, მაგრამ სახოგადოება ბდომად დასწრო...

14 ნოემბერს ქალთა გიმნაზიამ კამართა „ლიტერატურულ-მუზიკალურ-ეოკალური“ სადამო; განსაკუთრებით მოწაფენი მონაწილეობდნენ.

შირველათ ბ-მა ფრანგოვსკიმ (გიმნაზიის ინსპექტორი) წაიკითხა ნაწყვეტი „ობლომოვის ადზრდიდან“. შერე ქ-მა ფრანგოვსკამ წაიკითხა ზეპირად ნაწყვეტი „ბავშვობა დ. ნ. ტოლსტოისა“—მისივე მოთხრობიდან, —ისე მოხდენილათ, ისეთის ადტეტებით, რომ მსმენელებს დადი სიამოვნება აგრძნობინა. შემდეგ საეტეოოდ წაიკითხეს რუსეთის სხვა და სხვა მწერალ-მოეტების ნაწარმოებები მე-8 კლასის მოწაფეებმა: ოსიძემ, მიქაბერიძემ და ბაიარიანოვამ. მე 7 კლ. ნინა მეუნარგიამ და სანოძემ ქართულათ აკეი წერეთლის დექსი „მოეტი“, და განსაკუთრებით მე 6 კლ. დუკანოვამ. მშვენიერათ შეასრულა რამოდენიმე სიმღერები რუსულად ბავშვებისაკან შემდგარმა ხორომ ბ-ნი მეკრედიძის დირეტორობით. კარგათ შეასრულა რამოდენიმე სიმღერები მე 8 კლ. მოწ. გარეტელოვამ ქ-ნი ფრანგოვსკის აკომპანიმენტით. წაკითხულ იქმნა აგრეთვე ფრანკულ და ნემეცურ ენებზე დექსები.

მსმენელის ყურადღებას იმერობდა განსაკუთრებით ბავშვების მიერ დექსების კითხვა და სიმღერა სწანს ბ-ნ მეკრედიძეს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს. **ჭრიჭინა.**

ჩოხატაური. კვირას, 21 ნოემბერს ადგილობრივმა სტენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ი. კომარიანის ბიესა „ქოხში“. და კომედია „ოთხი იმერელი“. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. მაგრამ ხალხი კი დასწრო. ვუსურვოთ ადგილობრივ სტენის მოყვარეთ, რომ უფრო მომზადებულად და ბირნათლად შეასრულებინოთ თავისი მოვალეობა. **გარეშე.**

ქვალონი. ზეკრმა სოფელმა შესანიშნავ წელიწადი, რაც ეკლესიის აგება გადასწყვიტა, რისთვისაც საჭირო იყო 1900 მანათის შეგროვება. ეს საქმე ამორჩეულ ბირთ მოანდვეს: მადაქია ფანნულია, თეიმურაზ ჭანტურია, გ. ფანნულია; ხოდო თავმჯდომარედ თ-დი

[illegible]

სარდინან ჩიჩუა. ამ საქმის მოთავეებისათვის ორი წლის გადა მისცა საზოგადოებამ. ახლა კი, აგერ მესამე წელიც მოდის და არც ეკლესია, არც შეგრებიდ ფულის ანგარიში არა სჩანს.

ვთხოვთ ამ ბატონებს ეროვნულ ბირთ, ესიამოვნონ ხმების თავიდან ასაცილებლად განმარტონ საქმის ვითარება და შეგროვილ ფულის ანგარიშიც გამოგვიტანონ. **იქოური.**

—

ს. **ქვიტირი.** დიდი ხანია, რაც ამ სოფლის შეკნებული ნაწილი რიონის წყლის ტოტის გადმოგდებას ცდილობენ ჭირნახულის მოსარწყავად, რადგან აქაური ნიადაგი ისე მშრალია, რომ ურწყავად არავითარ მოსავალს არ იძლევა. საზოგადოებამ კანაჩენი დაადგინა და ირჩია კაცები, რომელთაც კანაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ. არჩეულ ბირთ მოიწვიეს მცოდნე ბირნი, რომელთაც განმასაზღვრეს არხის მიმართულება. აღმოჩნდა, რომ ორბირის გზის გასწვრივ არხში წყლის გადაგდება არ შეიძლება, რადგანაც, ერთი რომ სამართველოს გზის ნაბირ წყლის გაშვების ნება არა აქვსო და მეორეც, გაზოგის დროს აღმოჩნდა რომ ეს სოფელი ქუთაისიდან შედარებით მეტად დაბლობია და აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ თანაბრად წყლის გადაგდება შეუძლებელია, ვინაიდან წყლის მიმდინარეობა თანდათან არხს დაადრმავებს და უსარგებლოდ გახდება, როგორც აგიდების სარწყავად, აგრეთვე საქონლის სასმელად და საბანაოდ. ამისათვის მთავარი არხი უნდა იყოს მოხვეული, ხოლო ტოტები კი გასულ-გამოსული. ეს ამბავი საზოგადო კეთილ საქმის მოწინააღმდეგეებმა, რომ შეიტყვეს ხადხში განაცა ასტეხეს: „მაგ საქმეში არ ჩაებათ თვარა დაიდუშებით, კაცის თავზე 200—300 მანეთი არ გეყოფათ“.

დღეს-დღობით ასეა შეხერებული ამ არხის საქმე. ნუ თუ ვერავინ ითავებს მის მოწესრიგებას?

ამ სოფლელი.

—

დაბა აბაშა. (სამეგრელო). აბაშის უფასო ბიბლიოთეკა-საკითხველო ადგილობრივ ინტელიგენტთა დაუღალავმა დაკვეტვის კარებამდე მიიყვანა. ბიბლიოთეკის საშუალებით ადგილობრივ ფორმისათვის არსებობს (არ ვესები ზოგიერთ წეგრს.) ამას წინედ არა ჩვეულებრივი კრება მოხდა. ქ-ძე ქობულიამ მოკლედ გაანონა დამსწრენი ბიბლიოთეკის უნეტარეს მდგომარეობას: „ჩვენ, საამზურნველოს წევრნი, დირსნი ვარ დიდი საყვედურისა, —თქვა მან,— არას ვაკეთებდით და ბიბლიოთეკის უკან სვლას ხელი შეუწყეთო“.. კრებამ საამზურნველოს სამი წევრი მიუმატა, 6—7 წევრი ცოტას რასმე მაინც გაკეთებსო. მაგრამ ბიბლიოთეკის კარები ახლა უფრო ხშირად დაკეტილი. ხანდისხან ადგილობრივი სკოლის ზედამხედველი თუ ადგენს ბიბლიოთეკას და ფრანტიდან ჟურნალ-გაზეთები მოაქვს.

დ. აბაშაში არსებობს ორი ორკლასიანი საჰინისტრო საწყლებელი: საგაო—ექვსი წლის კურსით და საქალაო—ხუთი წლის კურსით. პირველში ითვლება 430 დე მოწაფე და 7 მასწავლებელი, ხოლო მეორეში—180 დე მოწაფე და 4 მასწავლებელი. ორივე საწყლებელში საწყლის ფასია შემოდებული, რაც მძიმე უდიდ აწევს საზოგადოებას. აქ „საწყლის წეგრვიდი ლიდია, მხოლოდ უსახსრობა ბევრს კლებს ეკეტავს სკოლის კარებს, მიუხედავად იმისა, რომ საგაო საწყლებელში 50—60 დარიბ კლასს მოწაფეს ანთავისუფლებენ საწყლის ფულიდან.

ადსანიშნავია ერთი მოვლენაც საქალაო სკოლაში: საუკ მოწაფეებს იძულებულს ხდიან რეპეტიტორები იყოლიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხვით ემუქრებიან. ნეტავ სად აქვს გაძღოლ-ტეხვებულ კლასობას რეპეტიტორების გამაკირებელ? ან რომელი შეადგიგიური საშუალებაა ეს?! უმჯობესია მასწავლებელ ქალებმა საგაო სკოლის მასწავლებლებს მიგაძონ და ჩამორჩენილ მოწაფეთა ნასადილევს იმეტადონონ.

სეკტემბრის ბირველ რიცხვებში ქუთაისის გუბერნატორისაგან მოწერილი ბა მოუვიდა ადგილობრივ ბოლიციას,— გადახდევინონს ადგილობრივ საზოგადოებას და შეიტანონ ხაზინაში ხუთათასი მანეთი იმ ათი-ათას მანეთიდან, რომელიც საზოგადოება და ბაზარი დაჭირდა მთავრობას სამოქალაქო ექვს კლასიან სასწავლებლის შენობის ასაგებად. რაგორც მოწერილობიდან სჩანს, კანაჩენი უკვე დამტკიცებულია სათანადო მთავრობის მიერ. ბოლიციამ შეუდგა ხუთი ათასი მანეთის შეგროვებას. არჩეულმა აგრედვე კომისია, რომელმაც ადგილი უნდა აირჩიოს სამოქალაქო სკოლის შენობის ასაგებად. იმედია კომისია შესაფერ ადგილს აირჩევს.

საგანგებო სანიტარულმა კომისიამ მეტი ყურადღება მიაქციოს ბაზრის სასუფთავეს, განსაკუთრებით ფურნეს და სამეკეტნოებს.

ხვალმოკლე კლეზობა იძულებულია ნედლი სიმინდი ბაზის ფასად გაყიდოს. აქით მესიმინდეები სარგებლობენ და მაზანდაზე შაურნაკლებ იგვეთავენ სიმინდსა.

აქამდის აბაშაში გასასყიდი ყურნალ-გაზეთები ოთვეულ დღე იშოვებოდა, რადგან ვ. ქობულიასა და კ. იაშვილს გბზეთების აგენტურა ჭქონდათ ადებული აბაშასა და ახალ სენაში. მაგრამ ეს შემდეგ, რაც. გაზეთების დამტარებელმა ვასილმა კაკარავამ ამათ ანგარიში არ გაუწორა ამ საქმეს თავი მიანებეს.

ბევრი მოთქმა-მოთქმის აწევეს აბაშის საადგურის უფროსის თანაშემწის ეგსევი ჩინჩაძის კანტრადიორობა. კაკუხიძე მასთან შეუდარებელი მეიქნა. საზოგადოებას ადეკვეს მისი სიტყვები, წამორთშვილი საადგურის ბაქანზე მგზავრების წინაშე: „მეკრედები ეგვლა გარეგნილი და გათახსირებულნი არიან“, და სხვა.

22—23 ნოემბერს ქუთაისის საოდქო სასამართლოში კიარბა კუთანის საზოგადოების მცხოვრებლის ისონ გაბიდაისა, ოვდარე ოიბაძისა, მედიტონ გაბიდაისა და ვ. მალდოვსკის, საქმე რომელთაც ბრალდებოდათ რემა მასხეულის მკვლელობა—ცომაის კასამართლება ერთობის დროს და სასჯელის მოხდა. ეველა გასამართლეს, კარგა ვ. მასლოვსკისა, რომელსაც ოთხი წლის კატორგა მიუსაჯეს **მაკოშვილი.**

—

დაბა ლანჩხუთი. (გურია). დღეს ლანჩხუთის ბიბლიოთეკა უპატრონობის კაშო იდუშებია. მართალია ბევრი ინტელიგენტი არა გვყავს, და არც დიდი ქალაქია ლანჩხუთი. მაგრამ მაინც ადგილობრივ კაკრეს შეეძლოთ მისი პატრონობა.

ადგილობრივი ინტელიგენცია შუა ბაზარში, სიაირმარკოზე ხელ დაკრეფილი, ანუ ქალებთან ხელ კამოდებული დასეირნობენ; მათ კეთილი მოდგეწობა არ ინტერესებთ.

შამშე ებრალიძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. შაბათს, 27 ნოემბერს. მსახიობის კ. დ. ყიფიანის გამგეობით გამართული იქნა წარმოდგენა-კონცერტი. დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა „ზოგი ჭირი მარგებელია“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება. მიხ. კავსაძის ხორომ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა სცენებით. წარმოდგენითაც და ხასიათითაც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა; მაგრამ განსაკუთრებით კარგი იყო „ცოცხალი გაზეთი“. სცენაზე გამართული იყო ღარიბი რედაქცია, ქართული რედაქცია. მსახიობები კითხულობდნენ დეპეშებს, ახალ ამბებს, მეთაურს და სხვა გაზეთისას საჭირ-ბოროტო საკითხებზე. „ცოცხალი გაზეთი“ შინაარსიანი გამოდგა და მაყურებლებზედაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

—

კვირას, წარმოადგინეს „ყაჩაღები“. ვლ. მესხიშვილი ფრანც მოორის როლში ჩვეულებრივად კარგი იყო, თავისი თამაშობით სრულიად დაჩრდილა სხვა მოთამაშენი. აღსანიშნავია ბ-ნი მდივანი კარლ მოორის როლში: თავისი ერთხმიან ღრიალით საზოგადოებაში ხშირად სიცილს იწვევდა ხოლმე. კარლ მოორი „ყაჩაღი“ იყო, მაგრამ განა ყველა ყაჩაღი ბაყბაყ მდევია, რომ თავისი ღრიალით ქვეყანა შესძრას?! რეჟისორებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ნაკლს, თორემ თუ ასე განაგრძო ბ-ნმა მდივანმა, უეჭველია, მალე სრულიად გამოუსადეგარი გახდება სცენისათვის.

№ 65.

—

ქუთაისი. კვირას, 28 ნოემბერს, ქალაქის თეატრში, სახალხო უნივერსიტეტის ლექტორებმა სამი ლექცია წაიკითხეს, რუსეთის დიდებულ მწერალ ლევ ტოლსტოიზე, საზოგადოება ბლომად დაესწრო.

პირველი ლექცია, „ტოლსტოის ცხოვრების აღწერა“ წაიკითხა გ. ნათაძემ; თუ არ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ლექტორს ხმის კილო ცოტა მკვახე აქვს, ლექცია კარგად დალაგებული, გასაგები იყო. მეორე ლექცია „ტოლსტოი და სახალხო სკოლა“, წაიკითხა ვ. ბურჯანაძემ. საზოგადოდ ლექცია შინაარსიანი იყო და ლექტორმაც რიხიანი ხმით და გარკვევით წაიკითხა, ხოლო უნდა შევნიშნოთ შემდეგი: 1) ავტორიტეტიანი პირების დასახელება საჭიროების დროს საკმარისია ორი-სამისა; 2) სახალხო ლექცია, რაც შეიძლება, მდაბიოდ დაწერილი უნდა იყოს, გასაგები ენით, ლექტორი კი უმეტეს ნაწილად უცხო სიტყვებს ხმარობდა, 3) საჭიროა აღებულ თემაზე ლაპარაკი. 4) უპირველესი ღირსება ლექტორისა არის დამშვიდებული გამოსვლა, დინჯი, აუჩქარებელი და ძალა-დაუტანებელი ლაპარაკი; ბ-ნ ბურჯანაძეს კი აღელვება ეტყობოდა, სიდინჯე აკლდა და ძალას ატანდა ლაპარაკს. მეორე ნახევარი თავის ლექციისა ისე ჩქარა და ხმის შეუწყვეტლად ჩაიკითხა, რომ იფიქრებდით, მედავითნემ მე-50 ფსალმუნი დავითისა გადაიკითხაო.

მშვენიერი და უნაკლულო იყო მესამე ლექცია ლ. ნათაძისა „ტოლსტოის საზოგადოებრივი იდეალები“; მან დინჯად, დალაგებულად, მშვენიერი კილოთი და გასაგები ენით ესაუბრა დამსწრე საზოგადოებას. ორატორმა სთქვა, რომ ტოლსტოის კაცობრიობის წარსული შეცდომის ნაბიჯად მიაჩნდა, აწმყო—უბედურების მორევად, მომავალი იდეალები—ბედნიერებად და ამ იდეალების განხორციელებისათვის საჭიროდ სთვლიდა უკან დაბრუნებას. ილიპარაკა აგრეთვე, როგორ უყურებდა ცივილიზაციას, მეცნიერებას, როგორ მიაჩნდა სიკვდილით დასჯა, როგორი იყო იმისი მოძღვრება ბოროტებასთან ბრძოლისათვის და სხვა ..

ტაშის ცემა გახურებული იყო; ლექციები გათავდა ნაშუადღევის სამის ნახევარზე და საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. **ლადო ბზვანელი.**

წვრილი ამბები

ექს-შაჰი დონ-ჟუანის როლში. მკითხველთ მოეხსენებათ, რომ სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი ამას წინად ოდესიდან ვენას გაემგზავრა. გაზეთებში მაშინ დიდი ალიაქოთი ასტყდა, არიქა, ზომები მიიღეთ, თორემ შაჰი რაღაც საფრთხეს უმზადებს თავის ძველს სამეფოს სპარსეთსაო. ყველაზე ძალიან, რასაკვირველია, სპარსეთის ახალი მთავრობა შეშფოთდა და ექს-შაჰს თავისი ჯაშუშები დაადევნა, რომ დროზე გაეხსნათ ნასკვი „განზრახულ შეთქმულობისა.“ მაგრამ აგერ რამდენიმე დღეა თეატრში მშვიდობიანობა ჩამოვარდა: ჯაშუშთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შაჰის მოგზაურობას სარჩულად პოლიტიკური მოსაზრებანი კი არ ჰქონია, არად მაჰმედის ვნებით სავსე, აღმოსავლეთურ გულის ჟინობა.

ოდესაში შაჰი ისე გაუტაცია ერთ ირლანდიელ 19 წლის მოცეკვავე ქალს, რომ როცა ქალი ადესიდან ვენაში წასულა, თან წაუყვია, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე, მაჰმედის „სული და გული“ და ამის შემდეგ შაჰს დაუყოვნებლივ ბარგი შეუკრავს და თვითონაც თან გაჰყოლია.

სიყვარული ხომ ხშირად მაცდურია და აი სამეფოს დამკარგავ კაცს სიყვარულის საქმეშიც ფეხი წაბორძიკებია: ქალს უარუყვია შაჰის სიყვარული, თუმცა უკანასკნელი გატაცებით უმტკიცებდა, ჩემა გული მხოლოდ შენ გეკუთვნისო.

იმედს მაინც არ კარგავს შაჰი და მოჯადოებელს არსებას ლანდივით ერთის ქალაქიდან მეორეში დასდევს, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მან სამი ახალი ცოლი შეიძინა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ, მადლობა გადავუხადო ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და ნივთიერი დახმარება აღმომიჩინეს ჩემი ავადმყოფობის დროს.

შემომწირველთა სია: თითო მანეთი: აკრასიმე პავაპარაძე, ეროდიონ ცაგარეიშვილი, ილარიონ ხაჭაპურიძე. ათ-ათი შაური: კოწია ირენაძე, ოლღა ვაჭარაძე, მიხ. ქუთათელაძე, ბესარიონ ნადარეიშვილი. ორ-ორი აბაზი: იოსებ ბალანჩივაძე, სევერიან ბალავაძე. ექვს-ექვსი შაური: პოლიკო კეკალიშვილი, პლატ. ფანცულია, მასიკო ჭელიძე, ვანო სალარაძე, გიორგი კოტრეიძე. თითო აბაზი: ლადო ცაგარეიშვილი, ისიდორე დაბიძე, კატო ცაგარეიშვილი, სინო, ემელიანე ცაგარეიშვილი, კოწია უგულავა, მიხ. სანოძე, რაფელ თუთბერიძე, კ. გორდაძე, ვ. მენაბდე, ბატაძე, მაჭარაძე, ალ. ლეჟავა, მიტრ. მაჭარაძე, ალ. მიქაძე, ერისტო ბალანჩივაძე, ქვ. გურდაძე, გიორგი სალარიძე. ორ-ორი შაური: ბარნაბა ეძგვერაძე, მინა ჭავჭანიძე, სერგო ლომიძე და 15 კაპ. სოლ. ცაგარეიშვილი.

სიმონ გიორგის ძე კუხალაშვილი.

—

„სახალხო გაზეთი“-ს № 162-ში მოყვანილი იყო სია იმ პირთა, რომელთაც შემოსწირეს ქ. ახალციხიდან თავისი წვლილი **გაბუნია-ცაგარლის** ფონდის სასარგებლოდ. შემომწირველთა გვარებში შეცდომითი იყო მოყვანილი ორი გვარი: Лазаревъ-ის მაგივრად ეწერა Лоладзе, და კნ. **ყარალაშვილის** მაგივრად **კნ. მარდიაშვილი.** გთხოვთ გამოაცხადოთ ეს გვარები სინამდვილით და ამაცდენოთ სამდურავთ, გინდ ეკვი,

დეკანოზი დ. ხახუტაშვილი.

„სახალხო გაზეთი“-ს ფოსტა

ტომსკი. „ქუთაისის თავად-აზნაურთა სტიპენდიანტებს“. ფსევდონიმებით ხელმოწერილ წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს.

კორესპონდენტთა საყურადღებოდ. რედაქცია საჭიროდა სცნობს კორესპონდენტებს აცნობოს, რომ ტოლსტოის თაობაზე მიმხდარ ამბავთა გამო ნურაფერს იწერებიან, რადგან დროსა და ენერგიის უნაყოფოდ დაკარგვაა.

ქუთაისი. კ—ს. „ნუ თუ მუდამ დაუნდობელია წუთის-სოფელი“ არ დაიბეჭდება.

უსაქმოდ დარჩენილ მუშას: თანაგრძნობთ, რომ უსაქმოდ დარჩენილ-ხართ, მაგრამ არ გირჩევთ ასეთი საქმიანობა განაგრძოთ.

თქვენა სწერთ:

„შავმა ფიქრებმა წამიღეს,
გულმა დამიწყო ძგერა მე,
თავი სულ გამომილაყეს
ამ დატანჯულმა ფიქრმა მე“...

ბატონო ჩემო, ან თქვენი თავი შეიბრალეთ, ან—ჩვენი!

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს კარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შიგან. და საბავშვო.

ბ. გ. ბაგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცი. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

◀ **მოზაბიარეთათვის** ▶

თავშესაფარი
გეგია-ქალის
თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. შშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაკი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—24)

საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 191ს წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელიმომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მეიცემა პრემიად 1. **მარლეის აჩრდილ**,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა მოთხრობამი იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ეურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; **ცალკეულ-გარეულ:** წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 4 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 2 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. **„ნაკადულის“** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

ცენტრალური აზიური გუფეტი
პურ-ღვინო

ვორონცოვის მოედანზე, ვორონ ცოვის ძეგლის პირდაპირ.

საუმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები ახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი უფუთა და მკვირცხლი.

✦ **ვაჭრობა ღამის 2 საათამდე** ✦

(20—160—12) ამხანაგობის გამგე **არსენი ჭიჭინაძე.**

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

სწორე და მკვიდრი საათები

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ოქრას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უზმო საათები ხაი სახურავით ძ ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და ხიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღეთოდ. საათები ნამდვილი ანალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოებულია ოქროს მედალით და „ხიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე **გასწორებული 10 წლის პასუხის მეგზლოებით,** ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ გგზავნით ანალი ოქროს მმკვნიერ ძეწკვს ბრილიანტი და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დაბურულ წერილზე უნდა დააკრთ 10 კ. მარკა, ხოლო დია წერ. 4 კ. ადრესი კოთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრთ კონვერტზე ან დია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—9)

მოიოთხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა

გრანდ-კახეთია

მუა ბაზაზარი, სახლი 13.

ფასები: **ბოთლი 20—50 კ., ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდ მიტანით.**

ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—2) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ს. სამადაშვილი.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 1910 წ. 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, გამგეობის საკრებულოში

საჯარო ვაჭრობაა

დანიშნული, სატივოზე ბორანის იჯარით გასაცემად.

პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე გამგეობის კანცელარიაში დილის 10—3 საათამდე. (3—249—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთლეგის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა

ახალი (Зернистая).

— ◀ პარკისა და კოლოფებით ▶ —

საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და ფითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ბირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—44)

ერთად-ერთი საწყობი ფოთლეგის მრეწველობისა.

საუკეთესო ფოთელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო ფოთელი (Кетовая) ხიზილალა